

Georg. zurna< Pers. zornā/sornā, Georg. რელკალ< Pers. რილკელ, Georg. ლაბალ< Pers. ლა(d)ბალ) and Arabic words that penetrated into Georgian via Persian(Georg. alal-i<Pers. halāl; Georg. aram-i<Pers. harām; Georg. arika<Pers. harakat; Georg. barakala<Pers. bārakalla(h); Georg. maxlas<Pers. maxlas; Georg. es oxer-i<Pers. āxer; Georg. salam-i<Pers. salām; Georg. xeir-i<Pers. xeir;). There is also a hybrid unit xabarda<xabardār, consisting of Arabic xabar and Persian dār.

Similar to their Persian parallel forms, some of the above-mentioned loans are characterized mostly by grammatical polysemy, where one and the same word represents both an interjection and a noun or an adjective.

In two cases, the grammatical polysemantic units (interjection-nouns) borrowed from Persian are monosemized in Georgian and found only in the form of interjection.

Three Persian grammatically monosemic words are polysemized in Georgian and function as a noun or adjective and an interjection.

There is one case when the noun is transferred from Persian into Georgian in two different phonetic forms and correspondingly in different grammatical categories (noun and adjective).

Some these loans are in fact outdated, probably due to the termination of Persian-Georgian oral language contacts.

ელვირა ასლანოვი

საქართველოში გავრცელებული აზერბაიჯანული ენის სპეციფიური თანხმობების ზოგი საკითხი

მოსხენებაში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტის კონსონანტური სისტემის აღწერის ცდა, რომლის ანალიზი, 2011 წლიდან დღემდე, ზემოხსენებულ ტერიტორიაზე აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტზე მეტყველი პირებისაგან ჩანერილ ლინგვისტურ მასალას ეფუძნება. წარმოვადგენთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ჩანერილი აუდიომასალასაც.

როგორც აღწერით-სინქრონულ, ისე სხვა თურქულ ენებთან შედარებით-დიაქრონიულ ასპექტში შესწავლილმა აზერბაიჯანული ენის

ყაზახური დიალექტის კონსონანტურმა სისტემამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ზოგი თავისებურება, ძველი თურქული ენობრივი ვითარების ამსახველი ფონოლოგიური მოვლენები, ასევე გვიანდელ ოღუზურ არეალში არსებული ნიშნები და, ზოგ შემთხვევაში, ყივჩაღური ლინგვისტური ელემენტებიც.

მოხსენებაში ვიმსჯელებთ ისეთ თანხმობებზე, რომლებიც აზერბაიჯანულმა სალიტერატურო ენამ დიდი ხანია დაკარგა და არც სხვა დიალექტებშია შემორჩენილი. ასეთია, მაგალითად, ცხვირისმიერი η . კბილისმიერი ζ თანხმობანი მხოლოდ ჩვენი საკვლევი კილოსთვის არის დამახასიათებელი. აფრიკატები dz (d) და ts ($ç$) არ გვხვდება სალიტერატურო ენის კონსონანტურ სისტემაში, მაგრამ დასტურდება საანალიზო კილოში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური კილოს თანამედროვე კონსონანტურმა სისტემამ ნაწილობრივ შემოინახა ძველი თურქული ენის ბგერითი სისტემა და, შესაბამისად, ჩვენი აზრით, კავკასიური ენების ინტერფერენციის გავლენასთან გვაქვს საქმე, რასაც ზოგიერთი მკვლევარი სარწმუნოდ მიიჩნევს.

Elvira Aslanovi

THE SPECIFICALLY CONSONANTS OF AZERBAIJANI LANGUAGE WITHIN GEORGIA

The report attempts to describe the consonant system of western dialect of the Azerbaijani language throughout Georgia. This research is based on the linguistic evidence collected from 2011 up to present from individuals speaking in the Qazakh dialect of Azerbaijani. Presentation also contains audio materials recorded from the ethnic Azerbaijanis residing in different districts of Georgia.

The report also highlights the special consonants, which are no longer used or have never been employed in the literary language of Azerbaijani.

The report also provides a discussion of such consonants that have been lost for a while in literary Azerbaijani language or don't exist in the modern one. Such is, for example, nasal η . Dental ζ consonant is only characteristic for the dialect under consideration. Report also offers discussion of affricates dz and ts that are absent in consonant system of literary language, but are confirmed in the analyzed dialect.

With the help of the program Praat, the sounds were observed on oscillogram and spectral imaging, because we had to observe these specific consonants and the report will be presented as images.

The study has shown that contemporary consonant system of Qazakh dialect of Azerbaijani language has maintained sonic signs of Old Turkic language to a significant extent.

მიხეილ ბახტაძე

1989 წლის 25 თებერვალი. საზოგადოება და ხელისუფლება

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-ში დაწყებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა (პერესტროიკა, გლასნოსტი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. ამ პერიოდზე საუბრისას ძირითადად ორ მოვლენას იხსენებენ. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, 1989 წლის 9 აპრილს და შემდეგ 1988 წლის ნოემბრის შიმშილობას.

მათ გარდა, 80-იანი წლების მეორე ნახევარში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც იყო. მათ შორის არის 1989 წლის 25 თებერვალი. დღე, რომელიც იმ წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა, როგორც გლოვის დღე.

საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო დღე სწორედ 25 თებერვალი იყო, როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი. ხელისუფლებასთან ერთად ზეიმობდა საზოგადოებაც, გარეგნულად მაინც. ალბათ ცალკეული პირები ამ დღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან განსხვავებულად აღიქვამდნენ, მაგრამ, ცხადია, ეს არ ხდებოდა საჯაროდ.

საზოგადოებამ პირველად ეს დღე, როგორც გლოვის დღე, როგორც დღე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვისა, საჯაროდ, მასობრივი ანტისაბჭოთა მანიფესტაციით აღნიშნა 1989 წელს.

ხელისუფლებამ სცადა საზოგადოების დაშინება და, ვფიქრობ, ესეც იყო 1989 წლის 18 თებერვალს მომხდარი ინციდენტის მიზეზი, როდესაც კომკავშირელმა აქტივისტებმა მშვიდობიანი მანიფესტანტები დაარბიეს.

25 თებერვალს კი ქალაქის ცენტრი მილიციით იყო სავსე. დემონსტრანტები სხვადასხვა ადგილზე შეიკრიბნენ და უნივერსიტეტის პირ-